ცნობის ფურცელი

№ 2170 ოთხშაბათი, 4 ივნისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2170

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: [illegible] სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში [illegible] ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

4 მანეთი ღირს ყოველდღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 ივნისიდან წლის დამლევამდე.

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. კალლიზენ

რყევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—87)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის მ. ხ. მუსხელაშვილისა.

(გედევანიშვილის სახლი)

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

მ. მ. მოდინაძე—კბილის სნეულებანი 9—10 საათამდე.

ნ. ტ. მოლინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. დამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

მ. ხ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების: კვირაობით 10—12.

გ. მ. ამბარძანოვი—საშვილოსნოსი, კანისა და საშარდლის 1—2 საათამდე.

ექ. მ. სობოლევსკი—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. ხ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.)

მუსხელაშვილი—თვალის ავადმ. ორშაბ., ოთხშაბ. და შაბათობით, 5—6 საათ.

მუდმივი ექიმი **გ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წლ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-[illegible]

[illegible] ის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი

ვ. დამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის [illegible]ისთან. ტელეფონი 642

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

«ცნობის ფურცლის» ხელისმომწერთა საყურადღებოდ.

გუშინ, 3 ივნისს **შოთა რუსთაველის** სურათი დაურიგდა იმ ტფილისელ ხელისმომწერთ, რომელთაც წლიური ფასი სრულიად შემოიტანეს. დღეს ეგზავნებათ სურათი ქალაქ გარეთელ ხელის მომწერთ. იმათ, ვისაც სრულიად ფული არა აქვთ შემოტანილი, გაეგზავნებათ სურათი მაშინ, როცა შემოიტანენ ფულს.

საზღვარ-გარედ

ბალკანეთი. ფრანგულ გაზეთ „ტან"-ის კორესპონდენტს ულაპარაკნია ერთ დიპლომატთან, რომელიც კარგად თურმე იცნობს მაკედონიის მდგომარეობას. ამ დიპლომატს შემდეგ ნაირად ულაპარაკნია:

„რევოლიუციონურ მოქმედების შეჩერება ნამდვილი არ არის, იგი უფრო მოჩვენებითია. მოძრაობის ეხლანდელ მდგომარეობის მიზეზები შემდეგია: რევოლიუციონერების პირველი გატაცება აღარ არის—ეხლა მეთაურებს უფრო უჭირებენ და მხოლოდ სათარეშო ბრძოლას ეწევიან; მოკვდა დელჩევი, უმთავრესი და ნამდვილი ხელმძღვანელი რევოლიუციონურ ორგანიზაციისა; სალონიკის აფეთქების საქმე ისე არ მოხდა, როგორც განზრახული იყო: დატუსაღებულია დიდ ძალი მღვდლები და მასწავლებლები, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ მოძრაობას; აღარ არის იმდენი სამხედრო მასალა, განსაკუთრებით დინამიტი; არც ოსმალებს და არც რევოლიუციონერს არ სურთ, ყანები გაათხრონ, რადგან შიმშილობის დიდათ ეშინია ორივე მხარეს".

დიპლომატის სიტყვით, ეს უკანასკნელი მიზეზი უმთავრესია. რა მოხდება მომკის შემდეგ, სული ახლო მომავალი გვიჩვენებს; მხოლოდ მაშინ შეიძლება იმის დანახვა, თუ რამდენად ძლიერია რევოლიუციონური მოძრაობა, შეუშლის თუ არა ხელს განზრახულ რეფორმების შემოღებას ან აიძულებს თუ არა ევროპასა და ოსმალეთს უფრო ვრცელ რეფორმების შემოღებას.

პრუსია. იმპერატორი ვილჰელმ მეორე მარტო იმისთვის არ ყოფილა რომში, რომ პაპის გული მოეგო და საფრანგეთისთვის წაერთმია უპირატესობრივი მდგომარეობა ყველა კათოლიკების მფარველ სახელმწიფოსა. თურმე თავის სამეფოს შინაურ საქმეების გამოც უმოგზაურნია პრუსიის მეფეს—პოლონელები მაწუხებენ, არ სურთ გაგერმანელება და ხელი შემიწყეთო, უთხოვია რომის პაპისათვის. ალბად, ამ თხოვნას გაუჭრია: პოზნანის არხიეპისკოპოსს კოპს შემდეგი მიმართვა გაუგზავნია თავის სამწყსოსათვის: ეკკლესიიდან გავაძევებთ ყველას, ვინც პოლონურ ეროვნულ მიმართულების ჟურნალ-გაზეთებს წაიკითხავსო. „გემუდარებით და გაფიცებთ, საყვარელო მრევლო, ნუ მიაკარებთ თქვენ სახლებსა და ოჯახებს ამ წიგნებსა და გაზეთებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მღვდლებს შეუძლიათ და ვალდებულიც არიან დაგტოვოთ ეკკლესიის გარეთ, სანამ თავიდან არ მოიშორებთ ასეთ საშიშროებას".

პოლონელი ხალხი ჯერ ერთობ მორწმუნეა, კათოლიკე სამღვდელოებას ერთობ დიდი გავლენა აქვს მაზედ, მაგრამ, როცა იგი დაინახავს, რომ სამღვდელოება მხარს აძლევს მის მტარვალ მთავრობის ძალ-მომრეობით პოლიტიკას, ზურგს შეაქცევს მასა და ერთბაშად გააძლიერებს იმ დემოკრატიულ მოძრაობას, რომელსაც თავისუფლება და ხსნა მოაქვს ყველა ტანჯულისა და დაჩაგრულისათვის.

მანამდე კი პოლონელებისა და გერმანელების დამოკიდებულება უკიდურესია: ეროვნული მძულვარება უმაღლეს ხარისხამდეა მისული. სხვათა შორის, იმ საავადმყოფოებიდან, რომელიც კერძო ქველ-მოქმედთა შემოწირულებით არსებობს, გაუძევებიათ ყველა გერმანელი ექიმები და დანტისტები. ადგილობრივი ადმინისტრაცია ყოვლად უღონოა ასეთ მოვლენის წინაშე და საქმეში ვერ ერევა; იმასაც ეშინია, ვაი თუ უფრო უკიდურესი მიმართულება მიიღოს გერმანელებისა და პოლონელების დამოკიდებულებამაო.

საფრანგეთი და **იტალია.** იტალიის მთავრობის ოფიციოზურ გაზეთში პირველ ადგილას დაბეჭდილია შემდეგი შენიშვნა:

„იმ ფაქტიდან, რომ იტალიის მეფე პარიზში მივა არა როგორც გზად ლონდონისაკენ, დიდებულ ერს შეუძლია დაინახოს, რომ მონარხმა მოისურვა ცხადათ დაუმტკიცოს საფრანგეთს თავისი მეგობრობა. იტალიელებმა იციან, რომ მეფე ვიქტორ ემანუილ მესამე არ წავიდოდა პარიზში, რომ პრეზიდენტი ლუბე არ დაჰპირებოდა რომში ვიზიტის გადახდას. იტალიის ერი სიხარულით ხედავს, რომ კათოლიკე სახელმწიფოს უდიდესი წარმომადგენელი პირველად მოდის რომში განახლებულისა და პაპის საერო უფლებაზე გამარჯვებულ იტალიის მისასალმებლად".

კუნძული კრეტა. საბერძნეთს სურს ისარგებლოს საერთაშორისო მდგომარეობის კრიზისით და კუნძული კრეტა შემოიერთოს. ამ ერთის თვის წინად კუნძულის უმაღლესი კომისარი საბერძნეთის მეფის შვილი გიორგი ათინაში იყო და ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლებმა სთხოვეს არ აღეძრა კრეტას საქმე და ასეთ საშიშ დროს არ გაერთულებია ისედაც რთული საქმე ბალკანეთისა. როგორც სჩანს, დიპლომატების თხოვნას არ გაუჭრია. კრეტას პარლამენტმა დაადგინა კუნძულის საბერძნეთის სამეფოსთან შეერთება. მეფე გიორგიმ დეპეშით მადლობა შეუთვალა პარლამენტს და გამოაცხადა, რომ ხალხის სურვილი მალე იქნება დაკმაყოფილებულიო. ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენელნი დიდ მნიშვნელობას არ აწერენ კრეტის პარლამენტის გადაწყვეტილებას.

ტიბეტი. რუსეთის იმპერიასა და ინდოეთ შორის დღეს ერთი სახელმწიფოა „ბუფერად". ეხლა ინგლისს განუზრახავს მეორე ბუფერის შექმნა. პეკინის მთავრობის ნებართვით, ტიბეტს და ლაილამასთან მიდის საგანგებო კომისია ინგლისელებისა ტიბეტ-ინდოეთის საზღვრების მოსაწესრიგებლად და სავაჭრო დამოკიდებულებაზე მოსალაპარაკებლად. ამ საგანგებო კომისიის მნიშვნელობა ეტყვს გარეშეა. ლონდონური გაზეთი „სპექტატორი" სწერს:

„ტიბეტი თავის გეოგრაფიულ მდებარეობით ინდოეთისათვის თითქმის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ავღანისტანი. ძლიერი მთა-გორიანი ქვეყანა ჰყოფს ინდოეთის უმდიდრეს ნაწილს ჩინეთიდან. ამგვარად ტიბეტი გახდება მტკიცე საზღვრად ინდოეთსა და იმ სახელმწიფოს შორის, რომელიც ადრე თუ გვიან გაბატონდება ჩინეთის ერთ ნაწილში. ტიბეტი რომ ეხლა სხვის ხელში იყოს, ოც წელზე კი რუსეთი და საფრანგეთი იქ ბატონები იქნებიან, ინდოეთის მფლობელობა ან შეუძლებელი იქნებოდა, ან და ორჯელ მეტი ჯარი დაგვჭირდებოდა".

რუსულ გაზეთს „ნოვოე ვრემია"-ს საეჭვოდ მიაჩნია, რომ ინგლისელების საგანგებო კომისიამ მიაღწიოს მიზანს.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 3 ივნისს, ტფილისის ქალაქის გამგეობას **მოხსენება წარუდგინეს ხმოსნებმა** ხუდადოვმა, ყარამურზამ, ა. გ. ჯაბადარმა, ა. ბ. ევანგულოვმა და ექიმმა ვაწაძემ. მოხსენება ეხება რკინის გზათა უსახელო საზოგადოებას, რომელიც რიგიანად ვერ ასრულებს მოვალეობას, არღვევს წესებს და მცხოვრებთ ათას გაჭირვებაში აგდებს. უსახელო საზოგადოება დღევანდლამდე არღვევს ქალაქთან დადებულ ხელშეკრულობის მე-14, 16, 18, 19, 21, 25, 27, 45 და 46 მუხლებს და ამას არავინ აქცევს ყურადღებას, არც გამგეობა და არც კომისია. ხმოსნები, სხვათა შორის, აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ ვაგონები საათში 10 ვერსს უნდა გადიოდნენ, ეხლა-კი ძლივ-ძლიობით 3—4 ვერსს გადიან. კონცესიონერი არა ჰკირწლავს ქუჩებს, არა აქვს შემუშავებული ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება უნდა იყოს უსახელო საზოგადოებისა და ტფილისის მცხოვრებთა შორის. დასასრულ ხმოსნები თხოულობენ: 1) დაჯარიმებულ იქმნას უსახელო საზოგადოება ქალაქის გამგეობის მიწერილობათა დროზედ შეუსრულებლობისა გამო, 2) წინადადება მიეცეს უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს ერთის კვირის განმავლობაში წარმოუდგინოს გამგეობას (ხელ შეკრულების მე-18 მუხლის მოთხოვნილებისამებრ) ვაგონების მოძრაობის წესები და 3) წინადადება მიეცეს ქალაქის გამგეობას, რომ იმან ცხენის რკინის გზის მეთვალყურე კომისიასთან ერთად შეიმუშაოს სავალდებულო დადგენილება ბელგიის უსახელო საზოგადოების სახელმძღვანელოდ.

◆ **ბაქოდან გვატყობინებენ:** რკინის გზის ადგილობრივი იჯარადარი დაკესამანსკი გამგეობამ დაითხოვა და საიჯარო საქმეები სხვებს გადასცა. დაკესამანსკი მუშებს დროზე ფულს არ აძლევდა. ეხლაც, დათხოვნის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ დაკესამანსკის მუშებისა ჰმართებია 5,725 მანეთი. ვერც რკინის გზა გაისტუმრებს ამ მუშებს, რადგან დაკესამანსკის არამც თუ მისაღები აღარა აქვსრა, პირ-იქით დასდებია რკინის გზისა 930 მანეთი. ამის გამო რკინის გზის სადგურზე შეკრებილი მუშები სხვებსაც არ უშვებენ სამუშაოდ.

◆ ტფილისის **გუბერნატორმა არ დაამტკიცა** თანამდებობაზე საბჭოს მიერ სასწავლებელთა კომისიის წევრად არჩეული თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი.

◆ ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიასთან, როგორც მკითხველებმა იციან, არსებობს **საზოგადო განათლების კურსები.** კურსების წინ მსვლელობას ძალიან უშლის ხელს უფულობა. ეხლა ისეა გაჭირვებული, რომ თუ სადგომის ქირისა და სასწავლო ნივთებისათვის ფული არ იშოვნა, შესაძლებელია კურსები სრულიად შესწყდეს. ამიტომ გუშინ გიმნაზიის დირექტორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას 500 მან. შემწეობა აღმოუჩინოს კურსებს.

◆ 1 ივნისს კრება ჰქონდა **ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას.** სხვათა შო-

რის, კრებამ გაანაწილა ფული იმათ შორის, ვინც წელს საარქეოლოგო გამოკვლევათათვის გაგზავნილ იქნებიან კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილებში. კ. ფ. განი მიდის სენაკის მაზრაში ნაქალაქევის ნანგრევთა გამოსაკვლევად, ე. ს. თაყაიშვილი—ბორჩალოს მაზრაში იქაურ ძველ ეკკლესიებისა და სხვა ისტორიულ ნაშთთა გამოსაკვლევად, დ. მ. შულცი განჯის გუბერნიაში სოფელ კუმშჩში სასაფლაოების გამოსაკვლევად. დასასრულ კრებამ მოისმინა ორი მოხსენება, ერთი ბ-ნ შულცისა და მეორე თავმჯდომარისა ყაბარდოში ძველ ეკკლესიის წარწერების შესახებ. ეს წარწერა ქართული ყოფილა: „დედა მღვთისას“.

◆ 2 ივნისს ქალაქის ღამის თავშესაფართა მეთვალყურე კომისიამ განიხილა მეორე თავშესაფარის ზედამხედველის კლიმიაშვილის მოხსენება. ზედამხედველი თხოულობდა ფულს **თავშესაფარის შესაკეთებლად**. კომისიამ 150 მან. გადასდო. კომისიამ ამასთან დაადგინა, რომ ზაფხულობით თავშესაფარები არ იკეტებოდეს. შემდეგ კომისიამ განიხილა მოხსენება ღამის თავშესაფარისათვის ახალის შენობის აგების შესახებ. კომისიამ პრინციპიალურად მოიწონა ეს წინადადება და დაადგინა, სთხოვოს სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს შეიმუშაოს ტიპი თავშესაფარისა, ხოლო გამგეობის საამშენებლო განყოფილებას—შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა.

◆ **ტფილისის მოურავის თანამდებობას** ბ-ნ შესტაკოვის ავადმყოფობის გამო დროებით ასრულებს გამგეობის წევრი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი.

◆ ამ ზაფხულს ახალ ალექსანდრიის სატყეო ინსტიტუტის **სტუდენტები აპირებენ კავკასიაში ჩამოსვლას**. სულ საექსკურსიოდ 35 სტუდენტი მოდის. სტუდენტებს მოსდევენ პროფესორები ფონ-ბრანკე, კ. დ. გლინკა, ვასილიევი, არნოლდი; ასისენტები ქურდიანი და განეშინი.

◆ როგორც „პრავიტელ. ვესტნიკ“-ში გამოცხადებულია, ბათუმსა და ბაქოს დამოჟნებში **ორი ახალი თანამდებობა** არსდება: ბათუმისაში—ბუხჰალტრის თანაშემწისა, ჯამაგირი ექნება 1300 მან. წელიწადში; ბაქოსაში—დამოჟნის წევრისა და ჯამაგირი ექნება 2,400 მან.

◆ სანაოსნო საზოგადოებამ „კავკაზმა და მერკურიმ“ **დააარსა სამი სტიპენდია** ოდესის სავაჭრო ნაოსნობის სკოლაში.

◆ ტფილისის **კადეტთა კორპუსის** მოსწავლენი 4 ივნისს მანგლის წავიდნენ საზაფხულოდ.

◆ 2 ივლისს ტფილისში ჩამოვიდა ნოვომირგოროდის **ეპისკოპოსი გერონი**.

◆ გუშინ, 3 ივნისს, ბათუმიდან **ტფილისში ჩამოვიდა** პრინცი ნაპოლეონი.

◆ როგორც „პრავიტ. ვესტ.“-ში გამოცხადებული, ამიერიდან ამიერ-კავკასიის **მომრიგებელ მოსამართლეთა თანაშემწეებს** ენიშნებათ სადგომის ქირა, თითოს სამასიდან ხუთას მანეთამდე. ამისთვის ყოველ წლივ უნდა გადაიდოს ხაზინიდან 66 ათასი მანეთი.

◆ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის **დირექტორად ნამყოფს ოჰანეზოვს** სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის უცნობებია, რომ ქალაქის გამგეობას 3 თვის ჯამაგირი 500 მან. მართებს და არ მაძლევსო. გუშინ ბ-ნმა ზავადსკიმ მისწერა ქალაქის გამგეობას, განკარგულება მოახდინეთ, რომ ოჰანეზოვს კუთვნილი ფული მიეცესო.

◆ კვირას, 1 ივნისს, **კავკასიის დედათა ინსტიტუტში** მოხდა კენჭის ყრა განთავისუფლებულ ვაკანსიებზე ბავშვების ჩასარიცხავად. კენჭის ყრით ინსტიტუტის ადგილობრივ განყოფილებაში მიიღეს: თამარ ანდრონიკაშვილი, ელენე წერეთელი, ზინაიდა ქავთარაძე და თამარ რცხილაძე; რუსულ განყოფილებაში: ფელიცა სოკოლოვი, ევგენია ვოიაკოვსკი და მარია ვოლიანსკი.

◆ პარასკევს, 6 ივნისს, ტფილისის ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიამ უნდა დაამთავროს ამა წლის **შემოსავალ-გასავლის** სავარაუდო აღრიცხვის შემუშავება.

◆ გუშინ, 3 ივნისს, ტფილისის დედათა საპროფესიონალო სასწავლებლის გამგემ სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას დაჯილდოვებულ იქმნენ ამ სასწავლებლის მასწავლებელნი ოქოევისა და არკანოვისა, რადგან ისინი 1902 წლის ნოემბრიდან დირექტორის თანამდებობას ასრულებენო.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ბათუმი. 2 ივნისს მოხდა ქალაქის გამგეობის ერთის წევრის არჩევანი, ბ-ნ ვოლსკის ნაცვლად, რომელიც საგუბერნიო ადმინისტრაციამ არ დაამტკიცა. ყუთი დაიდგა გ. დ. ჟურულმა. ამოუვიდა 16 თეთრი და 13 შავი კენჭი. ქალაქის მოურავმა თავ. ანდრონიკაშვილმა არ მოისურვა კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღება.

რუსეთის ქრონიკა

◆ რამდენიმე წელიწადია, რაც პეტერბურგში დაარსდა აღმოსავლეთის შემსწავლელი საზოგადოება. განყოფილებანი ამ საზოგადოებისა გაიხსნა სხვა-და-სხვა ადგილას, უფრო რუსეთის განაპირა ადგილებში. ეხლა ამ საზოგადოებას ლაპარაკი აღუძრავს აღმოსავლეთის ენათა უმაღლესს სასწავლებლის დაარსების შესახებ. ამ საქმის დაწვრილებით შემუშავება პეტერბურგის გამგეობას ტაშკენტის განყოფილებისათვის გადაუცია, ხოლო ამას განსაკუთრებული კომისია აურჩევია. რადგან შეიძლება უმაღლესი სასწავლებელი მალე ვერ დაარსდეს, კომისიას საშუალო სასწავლებლის პროექტიც შეუმუშავებია. სხვათა შორის, ეს სასწავლებელი სასამართლოსთვის თარჯიმნებს მოამზადებს.

◆ პეტერბურგში ერთის დიდის გაზეთის გამოცემა განუზრახავთ. ამბობენ, ბევრი ნიჭიერი მწერალი მიიღებს ამ გაზეთში მონაწილეობასაო. სახელად გაზეთს ერქმევა «Русская Земля».

◆ „ვოლგარი“ სწერს, რომ კოსტრომის გუბერნია სავსეა სექტებითაო. ხშირად ეს სექტები სულ უმნიშვნელო რამეთი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. არის ერთი სექტა, რომელსაც დევიზად პატიოსანი ცხოვრება გაუხდია. ამ სექტის მიმდევართ არავითარი საბუთის ქაღალდები, ბარათები და თამასუქები არა სწამთ. ფულის სესხების ან სხვა რამ საქმის დროს ბარათებს სულ არა ხმარობენ. ამას წინად ერთ გლეხს, სკვორცოვს, დაზღვეული სახლი დასწვია. დამზღვევ საზოგადოებას ფულის მიცემის დროს მოუთხოვნია ბარათი ფულის მიღებისა. გლეხს არაფრის გულისთვის არ მოუსურვებია ბარათზე ხელის მოწერა და უთქვამს, თუ უბარათოდ არ შეიძლება ფულის წაღება, სულ არ მინდა ფულიო.

◆ საერო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტი საშუალო სკოლის რეფორმის განხილვის დროს კერძო სასწავლებელთა რეფორმასაც შეეხებია. გადასწყდა, იმ კერძო სასწავლებლებს, რომელთაც გიმნაზიის უფლებანი არა აქვთ, ნება მიეცეთ დამოუკიდებლად პროგრამის შემუშავებისა.

◆ საერო განათლების სამინისტრომ არ შეიწყნარა ერთის ერობის შუამდგომლობა. ერობა თხოულობდა, რომ ნება ჰქონდეს ყველას დაესწროს მასწავლებელთა კრებას, რომელიც იმართება ხოლმე 1891 წლის 26 ნოემბრის წესების ძალით. შუამდგომლობის არ შეწყნარების მიზეზად ის დაუსახელებიათ, რომ სამინისტრო ახალ წესებს ადგენს სახალხო მასწავლებელთა კრებების შესახებაო.

◆ მალე სრულიად დაამთავრებენ საქალაქო დებულებას პეტერბურგის თვით-მმართველობისათვის. ზოგიერთი მუხლები საბოლოოდ შეუმუშავებიათ. სხვათა შორის, ქალაქის მოურავი საბჭოში თავმჯდომარეობას აღარ გასწევს, ამისთვის ერთის წლით სხვა კაცი იქმნება არჩეული. აწესებენ აგრეთვე ცენზს ხმოსნებისთვის, სახელდობრ, ხმოსანს ოთხ კლასიან სკოლის კურსი მაინც უნდა ჰქონდეს გათავებული.

◆ გზათა სამინისტრომ საბოლოოდ შეიმუშავა პროექტი დებულებისა რკინის გზის მოსამსახურეთა შესახებ. ეს ახალი დებულება ეხება მხოლოდ იმ მოსამსახურეთ, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში არ ითვლებიან. ამ დებულების ძალით, კერძო რკინის გზაზე, გზის გამგის თანამდებობის გარდა, არც ერთი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურად არ ჩაითვლება. ქალებს შეუძლიანთ სამსახური მიიღონ საწერ, სამეურნეო, სამკურნალო, სამოსწავლო და საანგარიშო ნაწილებში, აგრეთვე მიიღებიან ტელეფონებსა და ტელეგრაფებზე სამუშაოდ, მხოლოდ ამათ არ შეეძლებათ მატარებლის მიღება და გაგზავნა. სახელმწიფო რკინის გზებზე მოსამსახურეებს, ახალ დებულებით, „ნება არ ექნებათ სამსახურს გარედ სხვა ისეთი საქმე იკისრონ, რაც დაჰლის იმათაო“. აღეკრძალებათ აგრეთვე იჯარებისა და სხვა ამ გვარ საქმეების აღება.

◆ სატეხნიკო და საპროფესიონალო განათლების მოღვაწეთა მესამე კრების მეათე სექცია ეხლა-ხან შეუდგა მუშაობას. ამ სექციას დიდად საინტერესო საქმე აქვს მინდობილი: უნდა გამოიკვლიოს, რა მდგომარეობაშია ის დაწესებულებანი, სადაც მუშათა ბავშვები და თვით მუშები განათლებას იძენენ. სექციამ უკვე გაუგზავნა სამრეწველო დაწესებულებას საპასუხო ფურცლები და შეუდგა საჭირო მასალის შეკრებას.

პრესა

ეხლა-ხან დევრიენის საგამომცემლო ფირმას გამოუცია ახალი წიგნი ბ ნ ვასიუკოვისა შავის ზღვის პირად მდებარე ადგილების შესახებ. ავტორს აწერილი აქვს თურმე შავის ზღვის მხრის გუბერნია. სხვათა შორის, ამბობს:

> კავკასიის დაპყრობის შემდეგ რუსებს დარჩათ მდიდარი კულტურა, ე. ი. მშვენიერი ბაღები და მთის კარგი გზები, მაგრამ რუსებმა ვერც ერთით ვერ ისარგებლეს. ხელი ვერ შეუწყეს ვერც ბაღებს და ვერც გზებს, ამიტომ ჩერქეზის კულტურამ თქვენი პირი წაიღო. ჩერქეზებს კარგის ჯიშის საქონელი ჰყავნდათ. იმათი ცხენები ნაქები იყვნენ ღონითა და ფეხ-მარდობით. მთებში ლაღად სძოვდნენ ცხვრისა და თხების მთელი ფარები. მთიულებმა იცოდნენ საქონლის მოვლა და ჯიშის განკარგება.
>
> დღეს-კი არც საქონელი უვარგათ რუსეთიდან გადასახლებულთ და არც ცხენები. ცხვრის გაშენებას ხომ სულ არ მისდევენ.

ფელეტონი

წერილები ლონდონიდან

XII

აგიტაცია სასკოლო რეფორმის წინააღმდეგ.—ხალხის მანიფესტაცია ჰაიდ-პარკში.—ამ მანიფესტაციის ხასიათი და მნიშვნელობა.—პრესსის აზრი.—სამინისტრო ხალხს უთმობს.—სახალხო სეირნობა ლონდონში.

როცა ოფიციალურ, სახელმწიფო ეკკლესიის კლერიკალთა გავლენით უმისოდაც ღარიბ სახალხო სკოლის დამახინჯება განიზრახა, სამინისტრო ფიქრადაც ვერ იფიქრებდა, თუ იმისი პროექტი ასეთს ოპოზიციას გამოიწვევდა მთელს ინგლისში, თვით მშვიდობიან ხალხშიაც კი. უნდოდათ, სკოლა ანგლიკანურ ეკკლესიის განსაკუთრებულ კონტროლისათვის დაემორჩილებინათ, ეხლა კი თვით ბევრმა კლერიკალებმაც აშკარად დაინახეს, რომ ამ მეცადინეობამ ლამის საშიში მოძრაობა გამოიწვიოს ანგლიკანურ ეკკლესიის ყველა პრივილეგიის წინააღმდეგ. იქნება ხალხმა ისიც კი მოითხოვოს, რომ არც ერთ ეკკლესიის სამღვდელოებას სასკოლო საქმეში გარევის უფლება არა ჰქონდეს.

სახალხო კრებამ ჰაიდ-პარკში პირდაპირ გამოუცხადა მთავრობასა და რეაქციონურ უმეტესობას: თქვენ ამორჩეულები ხართ მარტო ტრანსვაალთან ომის გასათავებლად და თუ ეხლა გგონიათ, რომ, ამომრჩევლების დაუკითხავად, შეგიძლიანთ თავ-გასულ კლერიკალების ხელმძღვანელობა და **უკანონოდ** ბატონობაც მოგვახვიოთ თავზედ—ძლიერა სცდებით. კრება მოწვეული იყო სახალხო სკოლებისა, ლონდონის ლიბერალურ ფედერაციისა, ქალთა საზოგადოებათა კავშირისა, სხვა-და სხვა თავისუფალ ეკკლესიის 200 მრევლის კავშირისა, მუშების ტრედ-უნიონებისა და კანონ-პროექტის წინააღმდეგ საბრძოლველად დაწესებულ კერძო ასოციაციებისაგან. მშვენიერი ამინდი იდგა; ლონდონიც ხალისიანად დასთანხმდა მიპატიჟებას და კრებაზე **ასი ათასობით** გაგზავნა მანიფესტანტები და თანმგრძნობელნი. რომ თვალ ნათლად წარმოიდგინოთ, რა დიდძალი ხალხი მოვიდა კრებაზე, გეტყვით მხოლოდ, რომ პოლიციის უფროსის ანგარიშით, საათნახევარი მიდიოდა გამწკრივებული ხალხი და თითო მწკრივში ხუთ-ხუთი კაცი იდგა. პროცესია ძლიერ ფართო ქუჩებზე მიდიოდა. ეს ქუჩები სამ ვერსზე ხალხით იყო გაჭედილი. ხალხი სხვა-და-სხვა კავშირისა და საზოგადოებისა ბაირაღებსა და გამოჩენილ მეთაურებს ხმა-მაღლა თანაგრძნობასა და აღტაცებას უცხადებდა. მაგრამ ყველაზე მეტი თანამგრძნობი ხალხი ჰაიდ-პარკში ელოდებოდა მანიფესტაციას. პარკის გაშლილი, ორი თქვენის ალექსანდრეს ბაღის (ტფილისში რომაა) ოდენა ველი ნამდვილად ხალხით იყო გაჭედილი; ხალხის შავმა ტალღამ მთლად წალეკა ამწვანებული ველი. პროცესია 12 პლატფორმის გარშემო გაიშალა. პლატფორმებზე პარლამენტის წევრები, სახალხო ორატორები, თავისუფალი ეკლესიების განთქმული მქადაგებლები წარმოსთქვამდნენ სიტყვებს. ნიჭიერ და მჭევრ-მეტყველ რადიკალ დეპუტატს ლოიდ-ჯორჯსაც აუარებელი ხალხი ელოდებოდა, მაგრამ ჯორჯი იმ დღისით ლონდონში არა ყოფილიყო, კემბრიჯში წასულიყო სიტყვის წარმოსათქმელად. წინა დღისით ლოიდ-ჯორჯს ღირსებისამებრ შეემკო ჩემბერლენი: ჯადო-თილისმისა და სასწაულთ-მომქმედ წამლების გამყიდავსა ჰგავს ჩემბერლენიო (შარლატნისა და „კვაკ-დოკტორის“ სახელი ეწოდებინა). სამაგიეროდ დოქტორ კლიფორდს—სასკოლო ბილის წინააღმდეგ მოძრაობის ნამდვილ მეთაურს—ხალხმა დიდებული ოვაცია გაუმართა. მეორე განთქმული და საყვარელი მქადაგებელი მეიერიც არა ნაკლების აღტაცებით მიიღო ხალხმა.

ეს სამასი ათასი სული წმინდა ინგლისურ, ცოტა თავ-დაჭერილ აღტაცებით იყო აღფრთოვანებული. ნახევარი სულ ქალები იყვნენ: მანიფესტანტების ბაირაღ ქვეშ 10 და მეტი ვერსტიც გამოევლოთ. ლონდონის საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა მცოდნეები, კონსერვატიულ გაზეთ „სტანდარდ“-იდან დაწყებული და პოლიციით გათავებული, ერთხმად აღიარებენ, რომ უკანასკნელ 10 წელიწადში ლონდონს ამნაირი მანიფესტაცია არ უნახავსო. მეფეც მოსულიყო და ეტლიდან ხალხი ეთვალიერებინა; ამბობენ, მეფე ვერავის ეცნოთ. კაცს ისე ეჩვენებოდა, თითქო ეს ამოდენა ხალხი მზად იყოს, თავის აგიტატორების რჩევა დაუყოვნებლივ აასრულოს და არათუ მარტო სასკოლო გადასახადი არ გადაიხადოს,—თუ სასკოლო კანონს დაამტკიცებენ, მაშინ იქნება თავის საყვარელ მქადაგებელ მეიერის მუქარაც შეასრულოსო: „თუ მინისტრები საქმეს გაგვიჭირებენ, ჩვენც მოვახერხებთ გამდენისა დ კრომველის კვალზე გავიაროთო“.

მაგრამ განა მარტო ასე ეჩვენებოდა კაცსა? განა ხალხმა ეხლავე უარის გამოცხადება არ დაიწყო სასკოლო გადასახადის გასტუმრებაზე? წინა წერილში მოგახსენეთ კიდეც, რომ ოქსფორდში პროფესორმა ფერბრენმა და ბევრმა სხვამ უარი გამოაცხადეს ამ გადასახადის გასტუმრებაზე; ეხლა უარს ამბობენ ინგლისის სამხრეთსა, აღმოსავლეთსა და ვალისშიაც; თვით ჩემბერლენის ქალაქ-ბირმინჰამშიაც კი იმუქრებიან. ღვთის მეტყველების დოქტორს მიჰყვნენ ვაჭრები, ფერმერები და თავისუფალ ეკკლესიების სამღვდელონი. ესენი ყველანი მზად არიან მამაცად და მედგრად დაიცვან ინგლისელის წმინდა უფლება, გინდ ამისათვის ციხეშიაც ჩასხან, ან ქონება საჯაროდ გაუყიდონ.

რა უფლებაა ესაო—იკითხავს მკითხველი—ეს ის უფლებაა, რა უფლების ძალითაც ხალხი თავის წარმომადგენლების შემწეობით კანტროლს უწევს, ხალხისაგანვე აღებულს გადასახადს, რაში და როგორა ჰხარჯვენ; ამ უფლების ძალით ინგლისის ხალხს ნება აქვს ერთი კაპეიკიც არ გადაიხადოს, თუ კი იმის ფულს უკანტროლოდ დაჰხარჯავს მთავრობა. აქ ყველას ახსოვს, გამდენმა როგორ უარი თქვა პარლამენტისაგან დაუმტკიცებელ გადასახადის მიცემაზე და რა ამბავი მოჰყვა ამ უარს; ახსოვთ ის ზედკრული ჩაის ბაჟიც, ამერიკის კოლონიებში რომ დააწესეს მეფე გიორგი მე-III დროს, ახსოვთ, რომ ამ ბაჟმა რევოლიუცია გამოიწვია ამერიკაში და ბოლოს ამერიკა სულაც მოჰშორდა ინგლისს და ეხლანდელი შეერთებული შტატები დაარსდა. ეს ერთნაირად კარგად ახსოვთ კონსერვატორებსა, ლიბერალებსა და სამღვდელოთ, ყველას კარგად ესმით, თუ რა საშიში ძალაა „მშვიდობიანი წინააღმდეგობა“, უარი გადასახადის გასტუმრებაზე. ხშირად ერთის კაცის მაგალითსაც კი ისტორიული მნიშვნელობა ეძლევა.

ავტორის აზრით, მიზეზი ის არის, რომ წინანდელი მკვიდრნი უფრო კარგნი მეურნენი იყვნენ, ვიდრე ეხლანდელნი არიან.

ავტორი ეხება სხვა-და-სხვა „საქმის კაცებსაც", რომელთაც შავის ზღვის პირად სპეკულიაციას მიჰყვეს ხელი.

ადგილობრივი კულტურტრეგერები გულ-მოდგინედ შეუდგნენ გაგრასა, გელენჯიკსა, ტუაფსესა და სხვაგან შენობების აგებას, ადგილების ყიდვა-გაყიდვას. იმათ მოხელეებთან ხელი-ხელ გადაბმული მოისურვეს გელენჯიკის პოსადად გადაკეთება, რათა გლეხობისთვის მიწა ჩამოერთვათ და სპეკულიაცია უფრო მეტად გაეძლიერებინათ.

ფასებს ეხლა მართლაც ამ სპეკულიაციის წყალობით ძალიან აუწევია. ის, რაც 1894 წელს 50 მანეთად ღირდა, ეხლა 3000 მანეთად ფასობს. არის ისეთი ადგილები, სადაც დესეტინა 4, 5, 6 ათასს მანეთად ფასობს თურმე.

როგორ გაიდგა ფესვი ასეთმა სპეკულიაციამ? —ჰკვირვობს ავტორი. საოცარია სწორედ: რუსეთში ამდენი ოფროსებია, ამდენი თვალ-ყურის მგდებელია და სპეკულიაცია მაინც ასე ძლიერდება. რაღაც ამბავია უთუოდ!..

თეატრი

სამტრედია. ძლივს გაუღიმა ბედმა აქაურ საზოგადოებას. სულითა და გულით ვნატრობდით ერთ ხეირიან წარმოდგენას და, როგორც იქნა, ვეღირსეთ მასაც დამლევს. 30 მაისს გვეწვივნენ ტფილისის ქართულ დრამატიულ დასის მსახიობნი ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვ-აბაშიძისა, ბ-ნნი ვ. აბაშიძე, მესხი და სხვანი. შაბათს, 31 მაისს, დეპოს თეატრში წარმოადგინეს „ხანუმა" და „დატრიალდა ჯარა"; ხოლო მეორე დღეს, 1 ივნისს, „პირიზელი ბიჭი" და „ჯერ დაიხოცნენ, მერმე დაქორწინდნენ". წარმოდგენამ, როგორც მოსალოდნელი იყო, საუცხოოდ ჩაიარა. სამწუხაროდ, ვ. აბაშიძე ცოტა შეუძლოთ იყო, მაგრამ ნიჭიერი მსახიობი მაინც მშვენივრად ასრულებდა თავის როლს, განსაკუთრებით „ხანუმა"-ში. დამსწრე საზოგადოება აღტაცებით მიეგება ნიჭიერ მსახიობს და ხანგრძლივის „ვაშას" ძახილით და ტაშის კვრით დააჯილდოვა. პირველ დღეს წარმოდგენას ხალხი ბევრი ვერ დაესწრო, რადგან ზოგს ვერ გაეგო, მეორე დღეს-კი მეტი დაესწრო. **სამტრედიელი.**

—

ჭიათურა. 31-ს მაისს, ადგილობრივ სათეატრო დარბაზში გაიმართა წარმოდგენა ბ-ნის ქუჯის გამგეობით. ითამაშეს: „კეთილი და უმანკო ანგელოზი" დ. ერისთავისა და „არც აქეთ, არც იქით" ვ. გუნიასი. წარმოდგენამ საზოგადოდ გვარიანად ჩაიარა. კარგად შეასრულეს თავიანთი როლები ქ-ნთ ო. დეჟაგამ (ნასტია) და ივანიძემ, ბ-ნთ დათოშვილმა, (პიოტრ სტეფანოვიჩი) და ქუჯმა (გენერალი). საზოგადოება ბევრი არ დასწრებია. ამის მიზეზად, სხვათა შორის, უნდა ჩაითვალოს შემდეგი: აფიშებზედ გამოცხადებული იყო, რომ იაფ-ფასიანი ბილეთები იყიდება. როდესაც მიდის ხელ-მოკლე ხალხი თეატრში და კასირს სთხოვს, იაფ-ფასიანი ბილეთი მომეციო, უბნება: „იაფ-ფასიანი ბილეთი] არ არის. ყველა გაიყიდაო". მუშა უკანვე ბრუნდება, რადგან მანეთიანის ყიდვა არ შეუძლიან. ამავე დროს, როდესაც ფარდა აიხდება, რაღაც მანქანებით გამოჩნდება იაფ-ფასიანი ბილეთები, მაგრამ მყიდველი აღარსად არის ხოლმე. კარგი იქნება, რომ ამას ყურადღება მიაქციონ.

1 ივნისს ამათვე ითამაშეს: „შეშლილი" და „ბნელ ოთახში". ამ წარმოდგენამ წინანდელზე უკეთ ჩაიარა. შეშლილის როლი კარგად შეასრულა ბ-ნმა ქორიძემ. დეჟაგას ასულმა რიგიანად შეასრულა თავისი როლი, დანარჩენთაც არა უშავდათ-რა.

საზოგადოება არც ამ წარმოდგენას დაესწრო მაინც და მაინც ბევრი.

ამას წინად „ცნ. ფურცელში" ვწერდით: „ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ გაიმართა აქ წარმოდგენა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდაო. როგორც წარმოდგენის მოთავეებმა სარწმუნოთ გადმომცეს, ხსენებული წარმოდგენა არ ყოფილა „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ.

ლადო გუბელი.

ტფილისის ქალაქის საბჭო

მოურავის მოადგილის ავადმყოფობისა გამო, 2 ივნისის საბჭოს კრებაზე თავმჯდომარეობდა გამგეობის წევრი თავ. გ. ნ. ჩერქეზიშვილი. პირველად საბჭომ განიხილა გამგეობის დადგენილება საქართველოს საეპარქიო საბჭოს შეამდგომლობის გამო. საეპარქიო საბჭო ითხოულობდა ყოველწლიურ 3500 მანეთის შემწეობას ტფილისის სამრევლო-საეკლესიო სკოლებისათვის. გამგეობას საეპარქიო საბჭოს შეამდგომლობა არ შეუწყნარებია. საბჭოში ამ საგნის განხილვის დროს სასულიერო წოდების წარმომადგენელმა დეკანოზმა ვოსტორგოვმა სთხოვა საბჭოს, შეეწყნარებინა შეამდგომლობა. ამასთან ვოსტორგოვმა განაცხადა, რომ ტფილისი მეორე ქალაქია რუსეთში, სადაც მრავალი სამრევლო სკოლები არსებობს, უმეტესად ღარიბნი სწავლობენ. ქალაქში ამ ჟამად,—განაგრძო სკოლების ზედამხედველმა,—არის სულ 37 სამრევლო სკოლა, სადაც სწავლობს 1700 მოსწავლე. საქართველოს საეპარქიო საბჭო და ეკკლესიები სკოლებისათვის ყოველ წლივ 25,000 მ. ჰხარჯავენ, მაგრამ ეს არა ჰყოფნის. სამრევლო სკოლები, როგორც ბევრსა ჰგონია, საფრანგეთის საკონგრეგაციო დაწესებულებანი არ გახლავთ; ეს სახელმწიფო სახელმწიფოში კი არ არის, არამედ ერთგვარი ტიპია რუსეთის სკოლებისა, სადაც ბავშვებს სამღთო სჯულს დედა-ენაზე ასწავლიან. ამ სკოლებში განურჩევლად ეროვნებისა ყველას შეუძლიან სწავლა. ტფილისის სამრევლო სკოლებში ზოგგან სომხები უფრო მეტნი არიან მართლმადიდებლებზე. ხმ. სვენნიკოვი წინააღმდეგი იყო საეპარქიო საბჭოს ფული მისცემოდა იმ მოსაზრებით, რომ ამას წინად ტფილისის ბავშთა სამზრუნველო საზოგადოებას უარი ეთქვა ასეთსავე თხოვნაზე უსახსრობის გამო. წინააღმდეგი იყო ფულის მიცემისა ა. ს. ბაბოვიც. იმის აზრით, წელს ქალაქს დეფიციტი მოელის. ა. ზ. ნადიოაშვილმა კარგა ხანს ილაპარაკა და, სხვათა შორის, სთქვა, რომ საქართველოს საეპარქიო სამრევლო სკოლები ყურადღების ღირსნი არიან, რადგან იქ დედა-ენის საშუალებით ასწავლიან საგნებს პირველ ხანს მაინცაო. სამინისტრო სკოლებში კი სამღვთო სჯულის დედა-ენაზე სწავლებაც არ არის ნება-დართული. რადგან წელს დეფიციტი მოგველის, შემდეგში მაინც აღმოვუჩინოთ შემწეობა სამრევლო სკოლებსაო. ბოლოს საბჭომ ხმის უმეტესობით უარ-ჰყო საეპარქიო სამრევლო სკოლების საბჭოს შეამდგომლობა. შემდეგ წარმომადგენლად საქართველოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს ტფილისის მაზრის განყოფილებაში ტფილისის საბჭომ ამოირჩია მ. ქ. ყიფიანი.

დიდი ბაასი გამოიწვია ფუნიკულიორის საქმის გამო ა. რობის წარმომადგენლის წინადადებამ,— ნება მიეცეს ფუნიკულიორის ვაგონები ორ კლასად გაჰყოს და პირველ კლასში დამტკიცებულ ტარიფზე 10 კაპ. მოუმატოს. რობის წარმომადგენელმა განცხადებასთან ერთად ქალაქის გამგეობას წარუდგინა 1000 მან. ბედ. გამგეობას შესაძლებლად უცვნია კონცესიონერის წარმომადგენლის მოხსენების მიღება. ხმოსნები ი. მ. ალიხანოვი, ა. ს. ბაბოვი და სხვანი წინააღმდეგნი იყვნენ კონცესიონერის მოხსენების მიღებისა, რადგან ტარიფი უკვე დამტკიცებულია და სხვა. ზოგიერთმა ისიც აღნიშნა, რომ ეს ახალი განცხადება დროს მოსაგებად აქვს მაგას წარმოდგენილი. საბჭომ, კარგა ხანს კამათის შემდეგ, თითქმის ერთხმად უარ-ჰყო რობის წინადადება.

ამას წინად ტფილისის გუბერნატორმა მოწერილობა გაუგზავნა ქალაქის გამგეობას წყლის მიღის უვარგისობაზე. გუბერნატორი სწერდა, რომ ქალაქს საკმაო წყალი არა აქვს, რაც აქვს, ისიც უსუფთაოა. გუბერნატორი ავალებდა, დაუყოვნებლივ ეღონათ რამ ამ საქმისთვის. გამგეობას დაუდგენია, მოწერილობა გადაეცეს განსახილველად განსაკუთრებულ კომისიას, რომელსაც წყლის მიღის საქმე აქვს მინდობილი. საბჭოს კრებაზე გამოირკვა, რომ იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ეს საქმე, რამდენჯერმე სხდომა ჰქონია, დაუთვალიერებია ავჭალის წყლის მიღი და კიდეც დაუდგენია, წყლის მიღის განსაკარგებლად ჯერ-ჯერობით გადადოს 10,000 მან. ამ ცნობების შემდეგ ხმოსანთა უმრავლესობამ შეუძლებლად სცნო 1000 მან. კიდევ გადადება, როგორც ეს გამგეობას განუზრახავს. საბჭომ გადასწყვიტა, მიიღოს გამგეობის დადგენილება იმ დადგენილების გარდა, რომელიც შეეხება 1000 მან. გადადებას.

შემდეგ საბჭომ დაამტკიცა გამგეობის დადგენილება, რომლის ძალითაც მოქალაქეთა რწმუნებულებს უარი ეთქვათ, საბჭოს დარბაზის დათმობის შესახებ კრებებისთვის.

დაუსრულებელი კამათი გამოიწვია ხმ. ქიუზარიანცის მიერ აღძრულმა საჩივარმა ქალაქის გამგეობაზე. ქიუზარიანცს ნიკოლოზის ქუჩაზე თავის სახლის წინ ჰქონია პატარა მოედანი. სახლის წინანდელ პატრონს ეს ადგილი ქალაქისათვის დაუთმია ქუჩის გასაფართოვებლად. ქიუზარიანცს გამგეობისათვის გამოუცხადებია, ეს ადგილი ქუჩის გასაფართოვებლად მაშინ იქმნება კარგი, როცა გასწვრივ სხვებიც დაუთმობენ ქალაქს ადგილს და რადგან არ უთმობენ, ადგილი ჩემია და ზედ შენობა უნდა ავაგოო. გამგეობას უარი უთქვამს. ქიუზარიანცმა ამაზე საჩივარი წარუდგინა საბჭოს. სხვა-და-სხვა ცნობის განხილვის შემდეგ საბჭო დარწმუნდა, რომ ადგილი ქალაქის საკუთრებაა. საბჭომ არ შეიწყნარა ქიუზარიანცის საჩივარი.

ზუბალაშვილის სახელობაზე შეუძლებელთა თავშესაფარის შენობის აგების კომისიის თავმჯდომარედ საბჭომ ამოირჩია თავ. ა. ბებუთოვი.

საბჭომ, დასასრულ, 180 მან. შემწეობა აღმოუჩინა ჭოხონელიძის ქვრივს. ჭოხონელიძე ქალაქის მებაღედ ყოფილა 10 წლის განმავლობაში.

წერილი ფოთიდან

კერძო მოლაპარაკება მომავალ ვაჟთა პროგიმნაზიის შესახებ

მომავალ ვაჟთა პროგიმნაზიის შენობის აგებამ ყველანი დააფეთურა. ყველა იმისა სცდილობს, რომ კეთილად დაწყებულ საქმეს ხელი შეუწყოს და მისი დაგვირგვინება დააჩქაროს. სკოლის ამშენებელი კომიტეტი მხნედ შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას; პროგიმნაზიის საძირკველი უკვე ჩაჰყარეს, ხოლო ეხლა კედლების აშენებისათვის საზოგადოების დახმარებას მოელის. საზოგადოებაც ჯერ-ჯერობით არ იშურებს წვლილის გაღებას და ხელს უწყობს კომიტეტს. აქაც აღმოჩნდნენ ისეთი ქველ-მოქმედნი, რომელნიც უხვ შემოწირულებას არ აშურებენ ამ საქმის განსახორციელებლად. კვირას, 1 ივნისს, აქ კიდეც მოხდა კრება. გამგეობის დარბაზში ოცდაათ კაცამდე შეიყარა თავი იმის გამოსარკვე-

---

როცა ნაპოლეონ მე-III იძულებული იყო, 1852 წ. დეკემბრის სახელმწიფო ცვლილების დროს განდევნილ რესპუბლიკელებისათვის ამნისტია მიეცა, ერთმა დაბრუნებულმა რესპუბლიკელმა გამბონმა გამოაცხადა: იმ მთავრობას, რომლისათვისაც ფიცი არ მიმიცია, გადასახადს არ მივცემო. მაშინ ყველანი მიჰხვდნენ, რომ ფიცის გამტეხ მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა მალე დაიწყებაო. მართალია ძლიერ კი ცდილობდნენ, გამბონი სასაცილოდ აეგდოთ.—ნაპოლეონ მე III მსახურნი ამბობდნენ: „გამბონმა იცის, რომ გლეხები იყიდიან იმის ძროხას, იმის მაგიერ გადასახადს გადაიხდიან და ისევ უკან მიჰგვრიან ძროხასაო". მართლაც ასეც მოხდებოდა ხოლმე. გამბონი გადასახადს არ გაისტუმრებდა, ძროხას წაართმევდნენ, საჯაროდ გაუყიდნენ, გლეხები იყიდნენ იმის ძროხას და დიდის ამბით, სიმღერით ისევ პატრონს მიუყვანდნენ ხოლმე. „Père Gambon et sa vache"-მა („მამა გამბონი და იმისი ძროხა") ისტორიული მნიშვნელობა მოიპოვეს. და როცა დრო მოვიდა, იმავე გლეხებმა „მამა გამბონი" დეპუტატად აირჩიეს, რადგან კარგად იცოდნენ, რომ გამბონი იმათი კაცი და ნამდვილი მოსარჩლე იყო. გამბონი ნამდვილადაც ასეთი იყო.

ვმეორებ, ყველა პარტიებმა და სამინისტრომ იციან, რა საშინელი იარაღიცაა „მშვიდობიანი წინააღმდეგობა". მაგრამ როცა პარლამენტში სასკოლო რეფორმის კანონ-პროექტი შეჰქონდათ, მინისტრები და იმათი მეგობრები ვერც კი მოიფიქრებდნენ, რომ საქმე ასე დატრიალდებოდა. დოქტორ კლიფორდი პირველად რომ დაიმუქრა, სასკოლო გადასახადს არ მივცემთ მთავრობასაო, ბალფურმა ამ მუქარას ისე შეჰხედა, როგორც ისტერიით სნეულ ქალის კივილს. პირველ მინისტრს რომ სცოდნოდა, სადამდე მიაღწევდა ეს ტყუილი ისტერია, რასაკვირველია, მაშინვე დაუთმობდა ოპოზიციას. სულ ერთია, მთავრობა მაინც იძულებული გახდა, ხელი აეღო სასკოლო პროექტზე. ამ პროექტის ძალით ლონდონს თავის სასკოლო საბჭოში საზოგადო კენჭის ყრით არჩეულ წევრებს გარდა, კერძო კენჭის ყრით არჩეულნიც ეყოლებოდა. ამათ გარდა, სამინისტროსაგან დანიშნული მოხელეებიც იქნებოდნენ საბჭოში. მთავრობამ სასკოლო პროექტზე მანიფესტაციის მეორე დღესვე აიღო ხელი და ამით ფაქტიურად დაამტკიცა, რომ სამინისტრო საზოგადოების გულის წყრომას შეუშინდა.

მაგრამ მარტო პოლიტიკისა და სკოლებისა და თავისუფალ ვაჭრობისათვის ბრძოლას როდი უნდებიან ლონდონელები. ძლივს კარგი ამინდი დადგა—უკანასკნელ ორ წელიწადში ძლიერ იშვიათად გამოერევოდა ხოლმე კარგი ამინდი—ეს კარგი ამინდი მთელ ოთხ დღეს იდგა; ამათგან სამი დღე უქმე იყო. უნდა იცოდეთ, რომ ინგლისში წელიწადში მხოლოდ ოთხჯერ მოდის ორი უქმე ზედი-ზედ. ამ უქმეებს ბანკის უქმეს (ბანკოლიდა) ეძახიან, რადგან ცნობილ მეცნიერისა და მდიდარ კონსერვატორის ლებოკის (ეხლა ლორდ ავერბიური) კანონის ძალით, ყოველ წლის ზამთრისა, გაზაფხულისა, ზაფხულის და შემოდგომის დამდეგს პირველ ორშაბათობით ინგლისის ბანკი იკეტება; იკეტება ყველა ბანკებიც, ე. ი. იხურება ათი-ათასამდე ყოველგვარი საფინანსო დაწესებულება, სადაც მოსამსახურეები ასი-ათასობით ითვლებიან. ამის გამო ყველა სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებაც იხურება, ასე რომ ნამდვილი სამოქალაქო დღესასწაული იმართება. დილიდანვე დაწყებული დიდ-ძალი ხალხი მიდის ქალაქ გარედ, მინდორსა, პარკებსა და გასართობ ადგილებში.

თუ რამდენი ლონდონელი მიდის ახლომახლო ქალაქებსა და სოფლებში, ამას ოფიციალურ ცნობებიდან გაიგებთ. რკინის გზებს შორის მანძილის (30 ვერსტზე მეტის) ბილეთი 138 ათასი გაუყიდნიათ, ქალაქის მიდამოებისა თითონ ქალაქის და რკინის გზებს, ტრამვაიებს და ომნიბუსებს ჰომპტონ კარტში 112,000 კაცი მიუყვანიათ, კრასტალში—89 ათასი, ალექსანდრა პალასში—165,000; გამსტედისკენ—200,000 მეტი.—ამოდენა ხალხს ჭამა უნდა, სმა და ბინა! აბა იფიქრეთ, რამდენი ხორაგეულობა, ჩაი, ლუდი და სხვა სასმელი დასჭირდებოდათ, რამოდენა უნდა იყოს ის შენობები, ბინდვრები, ბაღები და პარკები, სადაც ამოდენა ხალხი ეტევა! საკუთარის თვალით მაღლობიდან უნდა დაათვალიეროთ ეს ხალხის გროვა, შორიდან მაინც გაიგოთ ამათი გრიალი, უცნაურ ლაპარაკის გუგუნი, რომ წარმოიდგინოთ, თუ როგორ ქეიფობს ათიათასობით შეგროვილი ხალხი.

გარედან კაცს ჰგონია, რომ ხალხის გროვაში უსათუოდ გაჰყლეტენ, დაახრჩობენ და დაყრუებენ ერთმანეთსაო. მაგრამ როცა ხალხში ერევით, სახტად რჩებით. დედაკაცები და ბავშვები, მხიარული ხელოსანი და მუშა ხალხი ზრდილობიანად ხუმრობენ; ჩხუბსა და უბრალოდ ხეტიალს ვერ ჰხედავთ აქა; არც ერთმანეთის მიხლა-მოხლაა, არც პოლიცია სჩანს. აგერ ზურმუხტივით ნიადაგ მწვანე ბალახზე ოჯახები და ახალგაზრდობის ჯგუფები სადილს შეექცევიან. იქით, არგნებისა და მუზიკის გარშემო მრავალი ახალგაზრდა ხალხი და ბავშვი თამაშობს. ხანდახან, ძლიერ იშვიათად, მთვრალები და ბრიყვი მყვირალებიც შეგხვდებიან, მეტადრე მზის ჩასვლის შემდეგ, მაგრამ ესენი მეტად ცოტანი არიან და ძრიელაც რცხვენიანთ ამ თავდაჭერილ, გულკეთილ და თავაზიან ხალხში. აქვე არხეინად სძოვენ პარკის ცხენები და ცხვრები, დარბიან და თამაშობენ თან მოყვანილი ყოველნაირ ჯილაგისა და სიდიდის ძაღლები.

გამსტედის მაღლობიდან ვუყურებდი ამ გულ-კეთილ ხალხსა და ძალა-უნებურად დავფიქრდი, მაშ როგორ მოხდა, რომ ეს ხალხი ასე საშინლად გაალმასდა ბურებზე-მეთქი. ინგლისელები არასდროს არა სცემენ თავიანთ ცხენებს, ძაღლებს და სხვა პირუტყვსა; ისინი ხომ ყოველთვის წყნარი და თავ-დაჭერილი ხალხი არიან; გლახებსა და მეარგნეებს არსად არ აძლევენ ასე უხვად ფულსა, როგორც ინგლისში; არც ერთ ხალხს ისე გული არ შესტკივა დაჩაგრულ ხალხებისათვის, დამშეულებისა და შინ, თუ სხვა ქვეყნებში, ყოველ უბედურებისაგან დაზარალებულთათვის, როგორც ინგლისელებს... მაშ როგორ მოხდა, რომ სწორედ ეს ხალხი ასე საზარლად და უმოწყალოდ მოექცა ბურებსა, იმათ ცოლებსა და ბავშვებსა და ამ უბედურების დამცველებს? რამდენი სიცრუისა, სისაძაგლისა და სიმხეცის მოგონება დასჭირდათ, რომ ეს გულკეთილი ხალხი გაეფთრებინათ! ისიც ვის სასარგებლოდ?—საერთაშორისო მძარცველების—ფინანსისტების სასარგებლოდ!..

ლონდონელი.

(შემდეგი იქნება).

გდ, თუ რა და რა ღონისძიებანი უნდა იქმნას ნახმარი, რომ დაწყებულ საქმეს ხელი შეუწყონ. ამისათვის კრებამ დაადგინა: გაიმართოს საქველ-მოქმედო აზრით პროგიმნაზიის სასარგებლოდ, რაც შეიძლებოდეს ხშირად, წარმოდგენები. თვეში ორჯელ გაიმართოს სეირნობა ქალაქის ბაღში, სადაც შესასვლელი ფასი უნდა გადახდეს დიდებს 10 კაპ. და პატარებს 5 კაპ. ამავე დროს იქვე უნდა იქმნას მოწყობილი წყლისა და ლუდის გაყიდვა საქველმოქმედო აზრით; შესდგეს მომღერალთა შემკრები ქალ-ვაჟთა დასი; სექტემბერში გაიმართოს საქველ-მოქმედო ბაზარი და სხვა.

ი. ოანეთელი

დაბა-სოფლები

დ. ხონი. (იმერეთი). სამშაბათს, 27 მაისს აქ გარდაიცვალა ხანგრძლივისა და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სტუდენტი ექიმი რაჟდენ თომასძე ქუთათელაძე, რომელიც ორი დღე, რაც ჩამოიყვანეს ავადმყოფი აბასთუმნიდან, სადაც წელიწადზედ მეტი სცხოვრებდა. განსვენებული ღარიბის დედ-მამის შვილი იყო. მამა იმისა, ხელობით მზარეული, არაფერს არა ზოგავდა ერთად-ერთ ვაჟის გამოსაზრდელად. არა თუ მთელი თავისი ქონება გადაალია, თავისი ჯანიც შესწირა. შარშან აუტანელ მწუხარებისაგან საბრალო მოხუც მამას დამბლა დაეცა და თვით სამოწყალოდ გახდა. განსვენებული მეტად ჯან-საღი ახალგაზრდა იყო. თავის დღეში ავადმყოფობა არ გამოუცდია. მაგრამ უნივერსიტეტში ორის წლის ყოფნის შემდეგ იმდენად შეარყა იმისი ჯანმრთელობა ჩრდილოეთის სასტიკ ჰავების წყალობით, რომ ექიმებმა შეუძლებლად სცნეს სწავლის განგრძობა. პროფესორების რჩევით, ხან სოხუმსა და ხან აბასთუმანს სცხოვრებდა. რა თქმა უნდა, ასეთ ექიმობისთვის ღარიბ მამის კაპეიკები ვერას გახდებოდა. დიდი თანაგრძნობა აღმოუჩინეს განსვენებულს იმისმა ნაცნობებმა და მეგობრებმა. იმათის წყალობით განსვენებული თითქმის ხუთი წელიწადზედ მეტი ექიმობდა ხან სოხუმს, ხან აბასთუმანს.

ეს მეშვიდე ყმაწვილია უმაღლეს სასწავლებელში ნამყოფი, რომელსაც ჩვენ, ხონელები, ვმარხავთ ამ სამი-ოთხის წლის განმავლობაში. ყველანი მეტად ჯან-საღნი და სიცოცხლით სავსენი იყვნენ უნივერსიტეტში შესვლამდის. ამ გარემოებამ დაარწმუნა უბრალო ხალხი, რომ მაღალი სწავლა, ე. ი. უნივერსიტეტი „ჰკლავს კაცს“. ჩვენსკენ ისე არიან დაშინებულნი, რომ თუ ყმაწვილი თავის თავად არ გაიპარა უნივერსიტეტში, არც ერთი მშობელი არ გაუშვებს.

სევერიანე ხ—ლი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 ივნისი.

რიაზანი. მასწავლებელთათვის სამის კვირით გაიხსნა საგუბერნიო საერობო კურსები.

ბელგრადი. დეპუტატთა და სენატორთა შეერთებულმა კრებამ გუშინ საღამოს ერთხმად გადასწყვიტა სერბიის მეფედ აარჩიონ პეტრე კარაგეორგიევიჩი. მხოლოდ კრებამ წინდაწინ საჭიროდ დაინახა აღადგინოს 1888 წლის კონსტიტუცია და ზოგიერთი ცვლილებანი მოახდინოს.—ბელგრადის რამდენიმე მცხოვრებმა ითხოვა სამშობლოდან წასვლის ნებართვა, მაგრამ მთავრობამ უარ-ჰყო იმათი თხოვნა. მეფის გვამი გასჭრეს. აღმოჩნდა: „თავის ქალას კედლების სისქე 11 მილიმეტრი, მაშინ როდესაც ნორმალურს ქალას სისქე არ უნდა აღემატებოდეს 6 მილიმეტრს; დიდი ტვინი შეზრდია ქალას, პატარა ტვინის გიპერტროფია; ღვიძლი ნორმალურზე დიდია, შავის ფერისაა; ეტყობა აგრეთვე თვალსაჩინო სიმსუქნე“.

სოფია. „ბოლგარიის სააგენტო“ იტყობინება, რომ წინააღმდეგ ოსმალოთა განცხადებისა, არც ერთ რაზმს ოსმალეთიდან არ გადაუვლია ბოლგარიის საზღვრები.

ჟენევა. კარაგეორგიჩმა ზემლინიდან მიიღო დეპეშა, რომლითაც ატყობინებენ, რომ საერო კრებამ ერთხმად აირჩია სერბიის მეფედ.

რომი. დღეს საღამოს მეფემ მიიღო ცანარდელი. ყველანი ურჩევენ მეფეს, იმასვე მიანდოს ახალის კაბინეტის შედგენა.

ლონდონი. მოლამ მოუვარა ინგლისელთ, რომ გზა შეუკრას გორერერესა და ბოგოტლეს შუა.

ადენი. მოლამ ჩაიგდო ხელში გარერეს და ბოგოტლეს შუა სურსათის ურმები. პოლკოვნიკი კობე ალყაშემორტყმულია გალადაში.

ზემლინი. პეტრე კარაგეორგიევიჩი ერთხმად აირჩიეს მეფედ.

ბელგრადი. საერო კრებისა და სენატის წევრთა საერთო კრებაზე პეტრე კარაგეორგიევიჩი ერთხმად აღიარეს სერბიის მეფედ. ახალ მეფესთან ჟენევაში მიემგზავრება დეპუტაცია. ამ ამბავს ყველგან დიდის აღტაცებით მიეგებენ. არჩევანის წინად სენატმა და საერო კრებამ გადაწყვიტა აღადგინოს 1888 წლის კონსტიტუცია ობრენოვიჩთა სამეფო გვარის სხვა გვარით შეცვლით და მოახდინოს აგრეთვე რამდენიმე წვრილმანი ცვლილება.

3 ივნისი.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია: სემიპალატინის ოლქის გუბერნატორი გენერალ მაიორი სოკოლოვსკი დანიშნულ იქმნას უფის გუბერნატორად.—გაზეთ „ტაიმს“-ში რამდენიმე რუსეთის წინააღმდეგ მიმართული კორესპონდენცია იყო დაბეჭდილი პეტერბურგიდან. ამ კორესპონდენციებში ბევრი მოგონილი ამბები იყო და ამიტომ შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ პეტერბურგის კორესპონდენტი რუსეთიდან გაეძევებინათ. ამის შემდეგ გაზ. „ტაიმს“-ში რამდენიმე სტატია დაიბეჭდა, რომელშიაც ბრაგამის რუსეთიდან გაძევება იყო აწერილი და ზედ დართული ჰქონდა გამოგონილი ცნობები. სხვათა შორის იქ ამბობდნენ, რომ ვითომ პოლიცია დაჰმუქრებოდეს ბრაგამს ეტაპით გაგზავნას. ნამდვილად კი ბრაგამის განდევნის დროს დაცულ იქმნა ყოველი წესი, რასაც კი კანონი მოითხოვს ამისთანა შემთხვევაში. ბრაგამს არავინ არაფერს დაჰმუქრებია და ამასთან დიდი ბრიტანიის ელჩის თხოვნის პატივ-საცემლად სამი დღით გადასდეს ბრაგამის განდევნა.—მის უმაღლესობას ჰერცოგ გიორგი გიორგის ძეს მეკლენბურგ-სტრელიცკის ებოძა ანდრია პირველ წოდებულის ორდენი.

ბელგრადი. საერო კრება გახსნა თავმჯდომარემ ველიმიროვიჩმა და წინადადება მისცა კრებას აერჩია კარაგიორგიევიჩი. გაისმა აღტაცებული ძახილი „ჟივიო“!. მეფედ აირჩიეს კარაგეორგიევიჩი. დიდი აღტაცებაა. 101-ჯერ გაისროლეს ზარბაზანი.

რომი. მეფემ ცანარდელს მიანდო ახალ კაბინეთის შედგენა. ცანარდელმა დრო ითხოვა მოსაფიქრებლად.

ვენა. იმპერატორმა მიიწვია აპონი, ჩაკი, შაპარი და ფეიერვარი. ამ მიწვევას ჰუნგრეთის სამინისტროს კრიზისად სთვლიან.

ბელგრადი. როგორც კი მეფის არჩევანი გათავდა, იუსტიციის მინისტრი გამოვიდა აივანზე და სასახლის წინ შეგროვილ ხალხს მიჰმართა. ხალხმა ერთხმად მესძახა „ჟივიო“! სასახლის წინ მხედრობა იყო ჩამწკრივებული. მთელს ქალაქში მხიარულებაა.

ბელგრადი მთავრობის დეპეშაზე, რომლითაც ავაკუმოვიჩმა აცნობა კარაგეორგიევიჩს მეფედ არჩევა, შემდეგი პასუხი მიიღო: „ბრწყინვალე საბუთმა ჩემის ძვირფასის ხალხისა, ჩემის მხედრობის ერთგულებისა და სამშობლოს მოყვარულ მთავრობისამ საშინლად ამაღელვა. ჩემის სერბიულ გულის სიღრმით ვმადლობ განგებას, რომელმაც ღირსმყო ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ავიდე ტახტსა ჩემის ბედნიერის წინაპრებისა. თქვენ, ბატონო მინისტრ პრეზიდენტო, და თქვენს თანა მოსამსახურე ამხანაგებს გთხოვთ მიიღოთ ჩემი მეფური მადლობა და განსაკუთრებული კეთილ განწყობილება.

ბელგრადი. მთავრობის განცხადებაზე საერო კრებამ რეზოლიუციით უპასუხა. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ხალხი აღტაცებით ეგებება 11 ივნისს მომხდარ ამბით გამოწვეულ ახალ ცვლილებას, სრულს თანაგრძნობას უცხადებს და მოსწონს მოქმედება მხედრობისა, რომელიც წესიერებისა და სამართლიანობის დამცველია და რომელიც თავმდები ყოფილა და იქმნება კიდეცა სერბიის წმიდა და ბრწყინვალე მომავლისა. იმავ დროს საერო კრებას უნდა მთავრობისათვის მადლობა გამოეცხადებინა პატრიოტიზმისათვის, რომელიც მან განსაცდელში ყოფნის დროს გამოსთქვა. კრებამ მოიწონა მმართველობის განკარგულება, რომელმაც უნდა აწარმოოს საქმეები ახალი მეფის მოსვლის შემდეგ.

ბელგრადი. საერო კრებაზე მმართველობამ წაიკითხა განცხადება, რომელშიაც უჩვენებს ახალ მმართველობის 29 მაისის კრებას და ახალი მმართველობის შედგენას. მმართველობამ თავის უდიდეს მოვალეობად ჩასთვალა მშვიდობიანობის წეს-რიგის და კანონიერობის დაცვა ქვეყანაში საერო კრების შეკრებით და 1901 წლის კონსტიტუციის აღდგენით. მმართველობა აცხადებს, რომ ერისა და ჯარის დახმარებით მან დაიცვა მშვიდობიანობა ქვეყანაში. იგი საერო ხალხის წარმომადგენელთ ანდობს 29 მაისის საქმეების დაფასებას და მართებლობის მოქმედებას ამის შემდეგ. მმართველობა იწვევს კრებას, რომ მან თავისი მოვალეობა შეასრულოს—მეფე აირჩიოს და კონსტიტუციის შესახებაც დაადგინოს რამე.

ბელგრადი. 11 საათს შემდეგ დეპუტატები მაშინვე საერო კრებაზე მივიდნენ. ველიმიროვიჩმა გახსნა სხდომა მოკლე სიტყვით და მისცა მათ წინადადება მეფე ამოერჩიათ. ჟივკოვიჩმა პეტრე კარაგიორგიევიჩისადმი მიმართული „ჟივიო“ დაიძახა. მას მოჰყვნენ ყველა იქ მყოფნი, რომელთაც იგივე გაიმეორეს და ამათ სასახლესთან მყოფმა ბრბომაც მხარი დაუჭირა. როგორც პირველმა წარმოსთქვა ხმის ჩამოტარების დროს პეტრეს სახელი, „ჟივიო“-ს ძახილს უფრო მოემატა. იმავ ოვაციებით დაჰხვდნენ მეორე არჩევანს—დეპუტატისას. შემდეგ არჩევნები მალე დასრულდა. გათავებისას კიდევ ასტყდა „ჟივიო“-ს ყვირილი. ვესნიჩი და ავაკუმოვიჩი ახალ მეფეს მიესალმნენ მოკლე სიტყვებით, რომელსაც ტაშის კვრა მოჰყვა. ველიმიროვიჩმა წინადადება შეიტანა, რომ პეტრე კარაგიორგიევიჩს ტელეგრამით შეატყობინონ კრების გადაწყვეტილება, გადაეცეს მეფეს ამორჩევის აქტი და ამისთვის ამორჩეულ იქმნას დეპუტაცია. ეს წინადადება მიღებულ იქმნა. კრება 5 საათზე დაიხურა. ციხიდან 101 ზარბაზანი დასცალეს. მცველი რაზმები დათხოვნილ იქმნენ.

ბელგრადი. დეპუტაცია, რომელიც ჟენევაში წავა ახლად არჩეულ მეფესთან, 24 პირისაგან შესდგება. ამათში 4 სენატორია და 20 დეპუტატი. დეპუტაცია ხვალ წავა იმ ოფიცრებითურთ, რომელნიც მეფის ამალაში უნდა იყვნენ.

ჟენევა. პეტრე კარაგიორგიევიჩი უცხადებს „შვეიცარიის ტელეგრაფის სააგენტოს“ წარმომადგენელს, რომ ის მიიღებს სერბიის გვირგვინს და სახელად მეფე პეტრე I-ს დაირქმევს. ის აპირებს სერბიელებს მიჰმართოს აქედან და ვენაზე წავიდეს ალბად ხუთშაბათს.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. კონსერვატორი გიბსონ ბოულსი კითხულობს ჰსურს თუ არა ბრიტანიის მთავრობას განაგრძოს დიპლომატიური დამოკიდებულება იმ პირებთან, რომელნიც მონაწილენი არიან სერბიის მეფე-დედოფლის მკვლელობაში და ეხლა კი სხვა და-სხვა სახელმწიფო თანამდებობას ასრულებენ. ორატორი კითხულობს, როგორ მოიქცევა ბრიტანიის მთავრობა უკანასკნელად მომხდარ ამბის შესახებ და გაუზიარეს სხვა სახელმწიფოებმა თავიანთი აზრი ერთმანეთს საერთო მოქმედების შესახებ თუ არა. ბილფურმა უპასუხა: ამ ამბავმა ჩვენც დაგვაფიქრა, მაგრამ რაც შეეხება დიპლომატიურს ურთიერთობას, ეს კი მეფის სიკვდილთან ერთად შესწყდა, რადგან ბრიტანიის ელჩი განწესებული იყო განსვენებულ მეფის წინაშე.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

[illegible] ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 31 მაისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ზე	93,85
ბერლინზე 100 მარკაზე	45,90
პარიზზე 100 ფრანკზე	37,35
ლონდონზე ჩეკები	94,65
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,60
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98⅜ გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100⅞ მყიდვ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა	95⅛ „
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	482½ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	331 მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	284½ მყიდ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	90¼ „
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა	—
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	91¾ „
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	100⅛ მყიდ. (?)
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	91¼ „ (?)
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	191 გაყიდ.

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ხაზირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო რა ღებულობს. (0—62)

ქ. ქუთაისში

მიხეილის ქუჩაზე გოგიელის შენობაში ტარიელ დიმიტრის ძე

გაბუნიას და ამხანაგობას

აქვს გახსნილი საწყობი, სადაც იყიდება ყოველნაირი დაწმენდილი არაყეულობა, სპირტი და სასმელი ზომიერ ფასებში. საქონელი მოწონებულია ტფილისის გამოფენაზე და დაჯილდოვებულია. მყიდველებს შეუძლიათ მიმართონ ზემოხსენებული ადრესით. (10—4)

ცინკოგრაფია

წიგნის გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 87.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

Дозв. ценз. Тифлисъ, 3 Іюня, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)